სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების წარმოშობის საკანონმდებლო რეგულირების თავისებურებები

ირაკლი ფიფია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თათა ერქვანია (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი (Master of Laws, LL.M)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ი. ფიფია

აბსტრაქტი

ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციების პრობლემატური საკითხების განხილვა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით რეგულირებულია უფლების დამდგენი დოკუმენტების სავალდებულო რეკვიზიტები და მათი არ არსებობისას შესაბამისი მოწესრიგება. შესაბამისად, ყურადღება გამახვილებული იქნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის საჭირო ძირითადი დოკუმენტების პრაქტიკაში გამოყენებისას წამოჭრილ პრობლემურ საკითხებსა და იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებმაც გარკვეულწილად განამტკიცა და გაამარტივა საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ნაშრომის ფარგლებში, ასევე შემოთავაზებული იქნება საკანონმდებლო ცვლილებები, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის კონსტიტუციასა და ასოცირების შეთანხმებასთან შესაბამისობის საკითხის მიმოხილვა, ამასთან, შესაბამისი რეკომენდაციები, რაც მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესში წამოჭრილი პრობლემების წინა პლანზე წამოწევას და მათი გადაჭრის გზების მიმოხილვას.

Abstract

The main goal of the paper is to discuss the problematic issues of legal regulations related to the documents establishing ownership rights to agricultural land. It should be noted that the legislation regulates the mandatory requisites of the documents establishing the right and the appropriate arrangement in their absence. Accordingly, attention will be focused on the problematic issues raised in the practical application of the basic documents required for the origination of ownership rights on agricultural land and on those legislative changes that have somewhat strengthened and simplified the registration of ownership rights. Within the framework of the paper, legislative amendments will also be proposed, a review of the issue of conformity of the Organic Law of Georgia "On Agricultural Land Ownership" with the Constitution and the Association Agreement, as well as relevant recommendations, which are aimed at solving the problems raised in the process of registering the ownership of agricultural land Bringing to the fore and reviewing ways to solve them.